



კონფლიქტებისა და კრიზისული სიტუაციების გაშუქება

კვლევა

ავტორი: მიშო გოგუაძე
ლექტორი: ნინო ჟიჟილაშვილი

4/24/20

კავკასიის მედიის სკოლა

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პაციენტისა და მის მიერ ექიმის სავარაუდო დაინფიცირების გაშუქება ნაციონალურ მედიაში.

შესავალი

კრიზისების გაშუქების დროს ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების გათვალისწინება. ჩემი საკვლევი თემა სწორედ ერთ-ერთ ხშირად ჩაგრულ ჯგუფს შეეხება - ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირების და მათთან დაკავშირებული საკითხების მედიაში გაშუქებას. კვლევის მიზანია მკითხველს სწორი ინფორმაცია მიაწოდოს თუ როგორ აშუქებს სხვადასხვა მედია საშუალება სპეციალური საჭიროების მქონე პაციენტის მიერ სამედიცინო პერსონალის დაინფიცირებას. გამოვიკვლევ ხუთი მედია საშუალების 30-31 მარტს ეთერში გასული ახალი ამბების დროს დისკრიმინაციის ფაქტებს. ასევე რამდენად შეიძლება საკითხის არასწორად გაშუქებამ და არასწორი ტერმინების გამოყენებამ სტიგმასა და სტერეოტიპების გაძლიერებას ხელი შეუწყოს. ამ შემთხვევაში დავაკვირდები რა არის მედიისთვის მნიშვნელოვანი სწორი ინფორმაციის მაცურებლისთვის მიწოდება თუ სენსაციების ძიება. არის თუ არა ჟურნალისტურ პროდუქტებში სიღრმისეული კვლევა და რამდენად აქცევენ ჟურნალისტები ტერმინებისა და სიტყვების სწორად გამოყენებას, რათა არ წავახალისოთ სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია.

საკვლევი კითხვები

- ❖ რატომ დაუკავშირა მედიამ პირველი სამედიცინო პერსონალის კორონა ვირუსით დაინფიცირება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს?
- ❖ რატომ მოიხსენიებდნენ ჟურნალისტები არასწორი ტერმინებით შშმ პირს და დაირღვა თუ არა ეთიკური სტანდარტები?
- ❖ რატომ არ განიხილა მედიამ დაინფიცირების სხვა ვარიანტი? რატომ გაავრცელა სავარაუდო ინფორმაცია როგორც გადამოწმებული და დადასტურებული. რატომ არ დაუშვეს ჟურნალისტებმა, რომ ექიმი პროტოკოლით გათვალისწინებული წესების დარღვევის გამო დაინფიცირდა? მაშინ, როცა მხოლოდ ერთი ექიმი დაინფიცირდა. (სხვა ამ პაციენტთან კონტაქტში მყოფი ყველა ექიმს არ დაუდგინდა ვირუსი)?

ჰიპოთეზები

- ❖ მედიის ნაწილი შშმ პირებს დისკრიმინაციურად მოიხსენიებს - „ფსიქიკურად დაავადებული“, „განაკუთრებულად აგრესიული“, „ჯანმრთელობის პრობლემების მქონე“, „ისეთი ტიპის სირთულის პაციენტი“ და სხვა, რაც არაეთიკურია.
- ❖ მედია მხოლოდ სენსაციას ეძებს ამბავში და არ განიხილავს შემოთავაზებული ვარაუდის გარდა სხვა დაინფიცირების შემთხვევას, არ სვამს დამატებით კითხვებს, არ ცდილობს სამედიცინო პერსონალის მიერ დისკრიმინაციულად მოწოდებული ინფორმაციის სწორად წარმოჩენას.

კვლევა მეთოდოლოგია

კვლევაში განვიხილავ ხუთი ნაციონალურ მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში ფსიქოსოციალური საჭიროებების მოქნე პირი მიერ ექთნის დაინფიცირებას. კვლევითვის გამოვიყენებ 30-31 მარტს, რადგან 30 მარტს საქართველოში სამედიცინო პერსონალის დაინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. კვლევაში ხარისხობრივ კვლევის მეთოდს გამოვიყენებ, რადგან ძირითადად ინფორმაციის წყარო არის ტელევიზიაში გასული მასალა. კვლევისას გავამახვილებ ყურადღებას სიღრმისეულ ანალიზზე, სწორ ტერმინოლოგიასა და ეთიკური გაშუქების მნიშვნელობაზე, რათა არ წავახალისოთ სხვადასხვა ჯგუფების დისკრიმინაცია.

კვლევა-ანალიზი

შევისწავლეთ ხუთი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები ესენია - საზოგადოებრივი მაუწყებელი - „მომბე“, იმედი - „ქრონიკა“, მთავარი - „საინფორმაციო გამოშვება მთავარი“, რუსთავი2 - „კურიერი“, ტელეკომპანია პირველი - „დღის ამბები“.

ტვ პირველი- „დღის ამბები“

30 მარტს ტელეკომპანია პირველმა ექსკლუზიურად გვამცნო, რომ ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოში ექთანი დაინფიცირდა. წამყვანმა საკადრო ტექსტში თქვა, რომ საქართველოში პირველად დაინფიცირდა სამედიცინო პირი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე

პაციენტისგან გადაედო ინფექცია. ჩართვისას ჟურნალისტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ექთანს ჰქონდა ურთიერთობა - „ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთან და აქედან გამომდინარე მოხდა მისი დანფიცირება“. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ექიმები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები დისკრიმინაციულად მოიხსენიებდნენ პაციენტს და დასძენდნენ, რომ ეს იყო სავარაუდო ვერსი, რაზეც ჟურნალისტები მტკიცებით ფორმაში ამბობდნენ რომ ექთანი დააინფიცირა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პაციენტმა. ასევე აღნიშნეს, რომ 72 წლის მამაკაცი დაუმორჩილებელი პაციენტი იყო და ხშირად არღვევდა დადგენილ წესებს. რაც შეეხება ექთანს არაერთხელ აღინიშნა, რომ ის იცავდა პროტოკოლს.

მთავარი - „საინფორმაციო გამოშვება მთავარი“

წამყვანის საკადრო ტექსტში არაერთხელ არის ნახსენები რომ პაციენტი, რომელმაც ექთანი დააინფიცირა „ფსიქიკურად გაუწონასრებელი“ იყო. გარდა ამისა წამყვანმა აღნიშნა, რომ ინფიცირებული არ ემორჩილებოდა დადგენილ წესებს და იყო აგრესიული. ჟურნალისტმა კი ჩართვის წარდგენისას აღნიშნა, რომ ეს იყო „განსაკუთრებული შემთხვევა“, რომ პაციენტი იყო „ფსიქიკურად გაუწონასწორებული“. აღსანიშნავია რესპონდენტების კომენტარების შინაარსი, რომელშიც ექიმები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები პაციენტს დისკრიმინაციულად მოიხსენიებდნენ. ისინი აღნიშნავდნენ რომ პაციენტი იყო „არაადეკვატური და ქცევითი აშლილობა ჰქონდა“. მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ყურადღება გაამახვილეს სამედიცინო პერსონალის ეკიპირებაზე, რამდენად ჰქონდა პერსონალს სპეციალური ეკიპირება და იყო თუ არა შანსი, რომ ეკიპირების არ ქონის გამო ან არასწორად მოხმარების გამო ექთანი დაინფიცირებულიყო. მიუხედავად ამისა ინფიცირების მთავარ წყაროდ მოხსენიებულია „პაციენტი ფსიქიკური პრობლემებით“.

საზოგადოებრივი მაუწყებელი - მოამბე

როგორც წამყვანი, ასევე ჟურნალისტი ამბობს, რომ ექთანს, სავარაუდოდ, პაციენტისგან გადაედო ინფექცია. არ არის ნახსენები ფსიქიკური ჯანმრთელობა. გარდა ამისა ექიმებისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების კომენტარები ისე არის მოჭრილი, რომ არცერთი მათგანი არ ახსენებს ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

რუსთავი 2 – „კურიერი“

ამ საკითხის მოკლე მიმოხილვა იყო. ამ დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათი გამოცხადა. აჭარიდან ჩართვისას მეორე ბლოკში ჟურნალისტმა ზოგადად ახსენა, რომ

საქართველოში პირველ სამედიცინო პირი პაციენტთან კონტაქტის შედეგად დაინფიცირდა. არ არის ნახსენები დისკრიმინაციული ტერმინები, თუმცა სინქრონში რესპონდენტები გამოიყენებენ არასწორ და დისკრიმინაციულ ტერმინებს.

იმედი - „ქრონიკა“

„ქრონიკაშიც“ ზუსტად „კურიერის“ მსგავსად აჭარიდან ჩართვის მეორე გაჭრაში ჰქონდა ძალიან ზოგადად ინფორმაცია, რომ ექთანი დაინფიცირდა. რესპონდენტების კომენტარების ისე არის მოჭრილი, რომ არ შეიცავს დისკრიმინაციულ ტერმინებს.

დასკვნა

საკვლევი მედია საშუალებებიდან ტველემკომპანია პირველმა ექსკლუზიურად ამცნო საზოგადოებას, რომ ქვეყანაში პირველი სამედიცინო პირი დაინფიცირდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისგან. ინფორმაცია სავარაუდო იყო, თუმცა ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში ამბობს. გარდა ამისა, დღის გადაცემებში პაციენტი რამდენჯერმე დისკრიმინაციული და არასწორი ტერმინებით მოიხსენიეს როგორც ჟურნალისტებმა, ასევე სტუმრებმა. „მთვარმა არხმა“ ყველაზე მეტი დისკრიმინაციული ტერმინი გამოიყენა. არ მოერიდა რესპონდენტების მიერ დისკრიმინაციის წახალისებას. ყველა სინქრონი მაყურებელს ზუსტად ისე მიაწოდა როგორც რესპონდენტები ამბობდნენ. ამ მედია საშუალებებმა არ დასვეს სწორი აქცენტები, არ განიხილეს დაინფიცირების სხვა წყარო, მაშინ როცა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთან კონტაქტში მყოფი კიდე ხუთი სამედიცინო პერსონალი არ დაინფიცირებულა. მედიას, რა თქმა უნდა, არ აქვს იმის საშუალება, რომ დაინფიცირების წყარო გამოიკვლიოს და ეპიდკვლევა ჩაატაროს, თუმცა კითხვების დასმით შესაძლოა ჭეშმარიტ ინფორმაციამდე მივსულიყავით და დისკრიმინაცია თავიდან აგვეცილებინა. გარდა ამისა არცერთი არხი არ დაინტერესდა სავარაუდო ინფიცირების წყაროს ჯანმრთელობის მდგომარეობით. როგორც კომენტარებში ექიმები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობდნენ, ეს კაცი ძალიან გადაიყვანეს მართვით სუნთქვაზე და ამ დროისთვის ის თითქოს „განეიტრალებული“ იყო. არცერთმა მედია საშუალებამ არ დასვა კითხვა ქვეყანაში კორონა ვირუსთან ბრძოლის პირობებში არსებულ პროტოკოლზე, როგორ უნდა უმკურნალონ, არავინ არ მოიკითხვა რატო არ მიიღო მთავრობამ ახალი პროტოკოლი და რატომ მკურნალობდა ჩვეულებრივი მედ პერსონალი თუ მართლაც სპეციალური საჭიროების პაციენტი იყო 72 წლის კაცი. არავინ მოკითხა რატომ

დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, იქნებ სპეციალურად დაამინეს, რადგან არ ჰქონდათ მისი მკურნალობის პროტოკოლი.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, „რუსთავი 2-სა“ და „იმედს“, ამ ტელევიზიებმა სავარაუდოდ განზრახ არ გაამახვილეს ყურადღება მათი სარედაქციო პოლიტიკის გამო სამედიცინო პერსონალის დაინფიცირებაზე. მედია ამ პერიოდში ხშირად სვამდა კითხვას ხომ არ დაინფიცირდა სამედიცინო პერსონალი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იყო მხოლოდ ერთი პასუხი არა, არა, და არა, რომ ჯანდაცვის სპერო კარგად ართმევს თავს ყველაფერს, არადა სამედიცინო პერსონალის დაინფიცირება პანდემიის დროს ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ ამ მედია საშუალებებმა მათი სარედაქციო პოლიტიკის გამო სავარაუდოდ განზრახ არ გაამახვილეს ყურადღება ამ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწოდებული ინფორმაცია არ იყო დისკრიმინაციული, მათ ასევე ვერ შეასრულეს მედიის მთავარი ვალდებულება კრიზისების გაშუქების დროს - სწორი კითხვების დასმის ვალდებულება. არ ისაუბრეს შშმ პირების მკურნალობის არარსებულ პროტოკოლზე, რაც, რა თქმა უნდა, ისეთივე დანაშაულია, როგორც ამ ინფორმაციის დისკრიმინაციულად მაყურებლისთვის მიწოდება.

საერთო ჯამში მედიამ ვერ მიაწოდა მაყურებელს სწორი ინფორმაცია. ორ პოლუსად გაყოფილმა მედიამ სხვადასხვაგვარად გამოიყენა შექმნილი ვითარება - ერთმა ნაწილმა სენსაციად შერაცხა სამედიცინო პერსონალის დაინფიცირება და ექსკლუზიურად მოგვაწოდა დისკრიმინაციული ინფორმაცია. მეორე ნაწილმა კი მათი პოლიტიკიდან გამომდინარე არ დასვეს სწორი აქცენტები და მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდეს მაყურებელს, რაც ასევე არასწორია.

ბიბლიოგრაფია

- ❖ <http://www.myvideo.ge/tv/pirvelitv>
- ❖ <http://www.myvideo.ge/tv/rustavi2hqnew?id=8675453423>
- ❖ <http://www.myvideo.ge/tv/mtavari>
- ❖ <http://www.myvideo.ge/tv/gpbhd>
- ❖ <https://www.youtube.com/watch?v=SE7Bkfh6zOg&t=780s>
- ❖ <https://www.qartia.ge/media/1000907/2018/10/04/5e801eab8513724adbb571134ba35c4b.pdf>